



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 145

ქ. თბილისი

11 თებერვალი 2018წ.

„2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის
გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2018 წლის 5 აპრილის N39 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2
პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და
ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N1293915, 08.10.2018)
შესაბამისად,

გბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება 2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების
საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 5 აპრილის N39 ბრძანებაში და ბრძანების
მე-2 პუნქტით დამტკიცებული პირველი დანართის:

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროექტი უნდა იწყებოდეს არა უგვიანეს 2018 წლის 1 დეკემბრისა“

ბ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „თ“, „ი“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი
რედაქციით:

„თ) ივლისი - ნოემბერი - კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება,
ერთიანი რანჟირებული სიის შედგენა და გამარჯვებულთა გამოვლენა;

ი) ნოემბერი - გამარჯვებული პროექტ(ებ)ის დასაფინანსებლად დამტკიცება ფონდის გენერალური
დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

კ) ნოემბერი - კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;

ლ) ნოემბერი - გამარჯვებულ დოქტორანტებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.“

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში -
ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების
ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მალხაზ ხოფერია

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

